379/102-02

23.09.2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს "თეგეტა მოტორსის" (ს/კ: 202177205) საკუთრებაში არსებულ N01.14.06.008.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე (მის: ქალაქი თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6ვ) (შემდგომში - უძრავი ქონება), სსიპ - ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება უძრავ ქონებაზე მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სსიპ - ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, მოთხოვნილ იქნა სს „თიბისი ბანკის“ (ს/კ 204854595), როგორც უძრავი ქონების იპოთეკარის (სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში იპოთეკის უფლებების განცხადებების რეგისტრაციის ნომრები: N882013222652; 17/05/2013წ. და N882021692985; 17/08/2021წ.) თანხმობა, მესაკუთრის მიერ ქონებაზე განსახორციელებელი შესაბამისი სამშენებლო სამუშაოებისა და ნებართვის მიღების მიზნით შესაბამისი ქმედებების განხორციელებაზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სს „თიბისი ბანკი“ (ს/კ 204854595), როგორც იპოთეკარი, თანახმაა მესაკუთრემ (მათ შორის, შესაბამისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა) უზრუნველყოს უძრავ ქონებაზე (ს/კ N01.14.06.008.065) მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის მშენებლობის (მათ შორის შესაბამისი ნებართვების მოპოვების) მიზნით, შესაბამისი სამუშაოების განხორციელება, ისე რომ არ შემცირდეს სს „თიბისი ბანკი“-ს იპოთეკის საგნის მოცულობა და ასევე სს „თიბისი ბანკი“-ს იპოთეკა გავრცელდეს ცვლილების შედეგად დარეგისტრირებულ სრულ ფართზეც სრულად

პატივისცემით,

სს თიბისი ბანკის წარმომადგენელი დიანა ცქიშვილი

წერეთლის გამზ. 117
0119 თბილისი, საქართველო
117 Tsereteli Ave.
0119 Tbilisi, Georgia
ტ/T: +995 32 227 27 27
ფ/F: +995 32 277 27 74
www.tbcbank.ge